[illegible] [illegible] 1918 წ. ოთხშაბათი. ოქტომბრის 16, № 358

სახალხო საქმე

ფასი 50 კაპ.

მთავარი კომიტეტის ორგანო

ფინლანდიის მეფედ პარლამენტმა ჰესსენის პრინცი ფრიდრიჰ-კარლოსი აირჩია. გერმანიის პრესა კმაყოფილია ვილსონის ნოტის კილოსი. ოსმალეთი ოფიციალურად აცხადებს, რომ იგი თანახმაა დასტოვოს ამიერ-კავკასიის ის ტერიტორია, რომელიც არ შედის ბრესტის ხელშეკრულებაში. ტფ. საბჭომ ბაქოს დაზარალებულთათვის 50 ათასი მ. გ.

დედა მარიამ მეუღლე ნინო თომას ასული, და-ძმანი: დარია, სოფიო, ეკატერინე, ზაქარია, ივანე და მიხეილ საყვარელიძენი, სიძეები: ვლადიმერ ყანჩაველი, ალექსანდრე მჭედლიშვილი, ვლადიმერ ლაშხაური, რძალი მარიამ საყვარელიძისა, სიდედრ-სიმამრი ოლღა და თომა არჩუაძენი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხუთშაბათს, ოქტომბრის 17-ს დიდუბის ეკლესიაში გარდახდილ იქმნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი სამეგრელოში ბრბოებთან ბრძოლაში ტრაგიკულად დაღუპულ კაპიტან

არჩილ დიმიტრის ძის საყვარელიძის

სულის მოსახსენებლად. წირვა იწყება 10 ს. პანაშვიდი 12 ს.

გულდათუთქული დედა ევგენია სოლომონის ასული ჯორჯაძისა, და მარიამი, ძმები სოლომონ და ვახტანგ მეუღლითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ საყვარელი და ძვირფასი შვილი და ძმა პორუჩიკი ქართული საპიორთა ბატალიონისა

როსტომ დავითის ძის ჯორჯაძე

იქმნა მსხვერპლი ავაზაკებისა თელავიდან სოფ. საბუეს მიმავლის დროს ოქტომბრის 11-ს. დაკრძალვა მოხდა ოქტომბრის 14-ს.

კახეთის რკინის გზის საზოგადოების გამგეობა და სამმართველო ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა კახეთის რკინის გზის უფროსი

ალექსანდრე სვიმონის ძე ფივფივაძე

პანაშვიდი ყოველ დღე ნაშუადღევის 1 საათზე და საღამოთი 7 საათზე საკუთარ ბინაზე (ალექსანდრეს ქუჩა, № 16) დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 2041

კახეთის რკინის გზის სამმართველოს მოსამსახურეები გულითადი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაცვალებას კახეთის რკინის გზის უფროსის

ალექსანდრე სვიმონის ძის ფივფივაძის.

პანაშვიდი ყოველ დღე დილის 1 საათზე და საღამოთი 7 საათზე საკუთარ ბინაზე (ალექსანდრეს ქუჩა, № 16). დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 2041

ღრმად დამწუხრებულნი მილიტინა ლუარსაბის ასული და პარმენი ქველის ძე ჯაფარიძეები თავის შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას, პირველის საყვარელი დედის და მეორე დაუვიწყარი სიდედრის

ნატალია ევსევის ასული ჯაფარიძისას

რომლის დაკრძალვა მოხდება ქ. გორში სამების ეკლესიის გალავანში ოთხშაბათს 16 ამა თვეს 2045

გულდამწვარნი მაგდანი და ელენე შვილებითურთ აუწყებენ ყველა ნათესავებსა და ნაცნობებს, რომ კვირას ღვინობისთვის 13-ს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველისა შვილი და მეორისა ქმარი ტფილისის მეოთხე ვაჟთა გიმნაზიის მასწავლებელი

გიორგი დავითის ძე მ თეშვილი

ცხედარს გამოასვენებენ ხუთშაბათს, ღვინობისთვის 17-ს დილის 9 საათზე. (რეუტოვის ქუჩიდან, სახლი № 20) კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში, სადაც გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი; დაკრძალვა ამავე ეკლესიის სასაფლაოზე. 2044

თომა ზაქარიას ძე ნასიძე და გრიგოლი სფრიდონის ძე ბალარჯიშვილი დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და ამხანაგებს, რომ კვირას ღვინობისთვის 13-ს გარდაიცვალა პირველის ბიძაშვილი და მეორის სიძე ტფილისის მეოთხე ვაჟთა გიმნაზიის მასწავლებელი

გიორგი დავითის ძე მათეშვილი

ცხედარს გამოასვენებენ (რეუტოვის ქუჩა, № 20) ხუთშაბათს ღვინობისთვის 17-ს კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში, დილის 9 საათზე. დაკრძალვა ამავე ეკლესიის სასაფლაოზე. 2044

ღრმად დამწუხრებულნი ნინო იაკობის ასული იოსელიანი და შტაბ-როტმისტრი კონსტანტინე დავითის ძე ნაცვლიშვილი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ უდროოდ გარდაიცვალა მათი საყვარელი ქალიშვილი (პირველისა) და მეუღლე (მეორესი)

თამრიკო

პანაშვიდი ყოველ დღე საღ. 7 საათზე მიცვალებულის ბინაზე (ბელინსკის ქ. № 18). გამოსვენება ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში და დაკრძალვა ხუთშაბათს, ოქტომბრის 17-ს, დილის 10 საათზე. 2043

ღრმად დამწუხრებული შვილები: მარიამი, ვლადიმერი, ნოშრევანი, კირილე და ელეფთერი ცოლშვილითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, ოქტომბრის 13-ს, ფარცხნალში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი მამა მათი

ბეჟან ვასილის ძე ხარაძე

დაკრძალვა მოხდება ოთხშაბათს, ოქტომბრის 16-ს, სოფ. ფარცხალში. 2039

ნიკოლოზ ლუარსაბის ძე და ბარბარე გრიგოლის ასული თუშაბრამაშვილები, ზაქარია ნიკოლოზის ძე და მარგალიტა ანტონის ასული თუშაბრამაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს, ოქტომბრის 17-ს, დილის 10 საათზე კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი პირველთა უსაყვარლეს შვილისა, მეორის ძმისა და მესამის მაზლისა მე 7 ქართულ პოლკის აფიცრის პორუჩიკ

ლუარსაბ ნიკოლოზის ძის თუშაბრამაშვილის

სულის მოსახსენებლად. 2047

ქუთაისში

სასწრაფოდ იბეჭდება. ქართული ენის ახალი სახელმძღვანელო

„მნათობი"

ანბანს შემდეგ პირველი წიგნი სკოლებში სახმარებელი, შედგენილი იოს. ოცხელის, სამ. ყიფიანისა და დომ. ოყრეშიძის მიერ.

ფასი 4 მანეთი.

მისამართი: ქ. ოცხელის წიგნის მაღაზია. 1363

ცირკი „მოდერნი"

(ყოფილი ძმ. ეფიმოვებისა, მიხეილის ქუჩა)

დღეს, ოქტომბრის 61-ს გაიმართება

რადიონ ყუბანელის

გასტროლი. მონაწილეობენ აგრეთვე „სამი ეშმაკი", ზინკოვსკები, ძმ. ვიქტორი და დიმი და მთელი დასი.

მუსიკა იწყება 7 ნახ საათზე, წარმოდგენა 8 საათზე.

მთავარი ადმინისტრატორი პ. **ელიზაროვი.** 2038

ქართული კლუბი

(საზაფხულო შენობა). ოთხშაბათს 1918 წ ოქტომბრის 16 ს. გაიმართება

სახალხო სიმღერების კონცერტი

მიხეილ კავსაძის ლოტბარობით

კონცერტი უფასოა

დასაწყისი საღ. 8½ საათ.

სტუმრები იხდიან კლუბში შესასვლელ ფასს მანდილოსნები და სტუდენტები 3 მ. მამაკაცები 5 მან. 1364

ვაჟთა პირველ გიმნაზიაში

მიმდინარე სასწავლო წელს 1, 2, 3 და 4 კლასებთან იხსნება პარალელური განყოფილებები. სწავლა რუსულ ენაზეა.

მიღება გაგრძელდება შაბათამდის, ოქტომბრის 19-დის, რის შემდეგაც მიღება შეწყდება. 2092

1918—19 წლის საოპერო სეზონი

სახელმწიფო თეატრი

დირექცია ნ. ლ. ლევიცკის

ოთხშაბათს, ოქტომბრის 16-ს, „მანონი" ოპერა 5 მოქმ.

მომქმედნი პირნი: ლევიცკისა, ზასლავსკისა, ზალიპსკისა, ბალაბინი, ზუბარევი, ნიკოლსკი, დემიანენკო.

დირიჟორი სამოსუდი. დასაწყისი 8 საათზე.

კასა ღიაა 10—2 ს., საღამოს 6 ს. სპექტაკლის გათავებამდე.

ანონსი: ოქტომბრის 17-ს „ტოსკა", 18-ს „ბორის გოდუნოვი", 19-ს „ჟიდოვკა". 1332

სარეკლამო ბიურო „რიაშ"-ს კანტორაში

გაიხსნა

სკოლა ბიურო ქართულ ფრანგულ და რუსულ მანქანებზე

სწავლის ფასი ქართულ მანქანაზე 85 მან. რუსულ 50 მან. ფრანგულ 80 მ. კურსი.

იქვე მიიღება გადასაბეჭდი საქმის ქაღალდები.

მისამართი: ლორის-მელიქოვის ქუჩა № 16 სახელმწიფო ბანკის პირდაპირ. 1346

სამხედრო ექიმთა

ყრილობა დანიშნულია ამა ოქტომბრის თვრამეტში ადგილი და საათი გამოცხადებული იქნება მეორე დივიზიის შტაბში, დივიზიის ექიმის კანცელარიაში (სამხედრო ქუჩაზე), სადაც ყრილობის მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ ყოველივე ცნობა ბინის და სხვა საკითხების შესახებ. ყრილობისთვის შემუშავებულია შემდეგი წეს-რიგი 1. სამხედრო საექიმო-სასანიტარო და სამოქალაქო საექიმო-სასანიტარო საქმეებს ურთი-ერთ შორის დამოკიდებულება საქართველოს რესპუბლიკაში; 2. ჩვენი რესპუბლიკის ჯარის სასანიტარო და საექიმო მდგომარეობის მოწესრიგება და გაუმჯობესობა; 3. სამხედრო სასანიტარო მმართველობას მკვიდრ ნიადაგზე დაყენება და ამ მმართველობაში საქმიანობის და სისტემის შეტანა: ა) სამხედრო ექიმთა პირადი შემადგენლობა და ექიმთა სამართლიანი განაწილება, ბ) სამხედრო ექიმთა საბჭოს დაარსება სანიტარულ მართველობასთან, რომელიც სასანიტარო უფროსთან ერთად გაუძღვება მთელ სამხედრო საექიმო-სასანიტარო საქმეს რესპუბლიკაში, გ) სასანიტარო-საექიმო ქონებათა გამორკვევა, მოგროვება და საწყობების მოწყობა, მათი გამოწერის და ანგარიშის წეს-რიგის შეცვლა, ე) ფერშლები, მათი მომზადება და განაწილება; 4. ჯარის ნაწილებში სამკურნალოების და ქსენონების მოწყობა, სამხედრო ჰოსპიტლების მოწყობა და მათი დამოკიდებულება ჯარის ნაწილებთან; 5. ტფილისის ჰოსპიტალთან სამხედრო ექიმთათვის გასაუმჯობესებელი კურსების მოწყობა სხვა და სხვა საექიმო მეცნიერების დარგებში; 6. ექიმთა პერიოდიული კრებები; 7. საექიმო პერიოდიული გამოცემები. 1365

იყიდება

ხელ მისაწვდენ ფასებში ღვინის სავაჭრო. ღვინით და თავის საჭირო აღჭურვილობით. უკვე სწარმოებს მშვენიერი ვაჭრობა, პირობების გაგება შეიძლება მიხეილის პროსპ. № 98. სასტუმრო „ოლიმპი"-ს კანტორაში. 8—6 საათ. 2029

ტფილისი, ოქტომბრის 16.

სომეხ-თათართა ურთიერთობა.

სომხის საზოგადოება და მთელი სომხური პრესა ამ ჟამად თავს დასტრიალებს ბაქოში სომხობის გაჟლეტის ამბებს. როგორც დანამდვილებით ამბობენ 48 საათის განმავლობაში თათრის ბრბოები გამალებით ჟლეტდნენ სომხებს და მათი ზარალი 30 ათას კაცამდე ადის. ჩვენ არ ვიცით, რამდენად მართალია ეს ამბავი, მხოლოდ ერთი უნდა ვსთქვათ, ამ შემთხვევაში დიდი სიფრთხილეა საჭირო და არავითარ შემთხვევაში უბედურება არ უნდა იქმნას გაზვიადებული ვინაიდან, ეს კიდევ მეტ სიძულვილს სთესს ორ ისეთ ერს შორის, რომელნიც მტრულად ცხოვრობენ ახლო-მახლო, მაგრამ რომელნიც ერთმანეთს მაინც ვერ მოშორდებიან.

თათრების და სომხების დაღუპული ოჯახების ინტერესები გვეუბნებიან, რომ დროა სიმხეცის გაზვიადებას, ველურ ინსტიქტებს და შოვინიზმის განგაშს მცირე გასავალი მივსცეთ, თუნდაც პრესაში. ეს საჭიროა ორივე ერისათვის.

ყოველ შემთხვევაში ჩვენს წინაშე სამწუხარო მოვლენაა. რეაქციის ხანაში სომეხ თათართა ჟლეტა ჩვეულებრივი ამბავი იყო, სამწუხაროდ რევოლიუციის ხანაშიაც ვერ მოხერხდა ამ ბარბაროსობის ალაგმვა და ეს კაცობრიობის შემარცხვენელი მოვლენა ისევე არსებობს ლენინის დროს, როგორც არსებობდა ნიკოლოზის ხანაში, აშკარაა, აქ საქმე ღრმა მიზეზთან გვაქვს და არა მხოლოდ ისეთ შემთხვევითი გარემოებასთან, რომელსაც დღეს ებღაუჭება „კავკაზსკოე სლოვო", რომელიც თათრობაში ხედავს ამ სამწუხარო მოვლენის მიზეზს.

ჩვენ, ქართველები, დაინტერესებული ვართ, რომ მოისპოს ეს საძაგელი, გამათახსირებელი მოვლენა. საქართველომ მოახერხა ამ მოვლენის თავიდან მოშორება რეაქციის ხანაში და რევოლიუციაშიაც მას ჩვენში ადგილი არ აქვს; საქართველოში ეს მოხერხდა სწორედ იმიტომ, რომ ქართველი დემოკრატია დაინტერესებულია თავისი განთავისუფლება ეძიოს არა ძმების სისხლის წურწურში, არამედ სოციალურ-კულტურულ ბრძოლაში ძმებთან თანხმობით და კავშირით. აი ამ მოტივის სახელით ჩვენ გვინდა ყურადღება მივაქციოთ ბაქოს უკანასკნელ ამბებს და ერთხელ კიდევ უთხრათ სომხის და თათრის ხალხს: ძველი გზით ნუ დადიხართ, თუ გინდათ კულტურული ცხოვრება დაიწყოთ, დაივიწყეთ უკულტურო ნაციონალიზმი და პოლიტიკურ ასპარეზე პირველობა დაუთმეთ დემოკრატიას.

სომხურ-თათრული ანტოგონიზმის საფუძველი ამ ერებში კი არ არის, ამათ ბურჟუაზიულ წრეების პოლიტიკაში ჰმარხია. არავისთვის არ არის საჭირო დაიმალოს, რომ მარტში, როცა თათრობა დამარცხდა თათრის ბურჟუაზიამ ბაქო მიატოვა და სომხის ძალებმა საშინელ ყოფაში ჩააყენეს თათრის დემოკრატია, რომლის გვამების სულის შემხუთველი სუნი ყოველ მოქალაქეს აღრჩობდა. მას შემდეგ თათრის კულტურა ბაქოში თითქოს მოკვდა, ნაგიევის კულტურული სახლები მოსპეს და შეწყდა თათრების ვაჭრობაც.

დღეს რას ვხედავთ?—გამარჯვება თათრების მხარეს არის და სომხის ბურჟუაზია გაიქცა პეტროვსკში და შურისძიების მსხვერპლი კი შეიქმნა ხელმოკლე ხალხი სომხობისა. ყველასათვის აშკარა უნდა იყოს, რომ ამ ბრძოლაში იღუპება დემოკრატია, რომელიც ერთნაირად ზარალობს, როგორც თათრობაში, ისე სომხობაში. არც ერთ ამ ტომობრივ ანტოგონიზმში არც სულიერი, არც ფიზიკური და არც მატერიალური ენერგია არ შეუძენია არც ერთ მოქიშპე ერის დემოკრატიას და ვგონებთ დღეს მაინც საკმაოდ ცხადი უნდა იყოს, რომ მიზეზი ამ საზიზღროებისა დემოკრატიის გარეშე უნდა ვეძიოთ.

ძალიან არის დამახასიათებელი, რომ ვერც დაშნაკცუდიუნმა, ვერც მუსსავათმა, როგორც ეს შესძლო ქართველმა სოციალ დემოკრატიამ, ვერ მოახერხა გადაერჩინათ თავიანთი ერები ასეთ უბედურებისაგან. წინად ისინი ყველაფერში რეაქციას და პროვოკაციას სდებდნენ ბრალს, მაგრამ დღეს ხომ ძალა ამათ ხელშია? ჩვენ ვფიქრობთ, ვიდრე სომხის და თათრის ერების სვე ბედი იქნება ხსენებულ პარტიების ხელში ეს სამწუხარო მოვლენა არ მოისპობა. ორივე ეს პარტია აშკარა ბურჟუაზიული პარტიაა, რომლის კაპიტალისტური სული და მძაფრი მეტოქეობის ალღო ერთმანეთისადმი მუდმივ ეროვნულ ბრძოლის ხალისს ჰქმნის. თათრის ფეოდალური არისტოკრატია და სომხის ფინანსიური ბურჟუაზია თავიანთ მოგების საქმისათვის არ დაერიდებიან არავითარ ინსინუაციას, პროვოკაციას, დემაგოგიას და სწორედ ეს დაურიდებლობა და სასტიკი მეტოქეობა თავდება ხშირად იმ ხოცვა-ჟლეტით, რომლის შემდეგ სტირის და მოსთქვამს თათრის და სომხის პრესაც. ბურჟუაზიულ-ფეოდალური მოლოხი არ ძღება ხალხის სისხლით და იგი არც არასოდეს გაძღება, ამ მეტოქეობაში აღიზარდა იგი და ამაში უნდა დაიღუპოს უეჭველად. სომხის და თათრის დემოკრატიამ იმდენი ეროვნულ-მოქალაქობრივი შეგნება უნდა გამოიჩინოს, რომ ეს მონები კაპიტალისტურ მოლოხისა საჩქაროდ დაღუპონ თუ სურთ, რომ ერთხელაც არის ძმათა სისხლის ღვრის ნაცვლად აღსდგეს თავისუფალი და მეზობრული ცხოვრება.

უნიადაგო იმედები

ყველას ძალიან კარგად ახსოვს ის საბედისწერო ჟამი, როდესაც ოსმალეთი საქართველოს შემუსვრას აპირებდა. ყველა ფრონტზე დამარცხებული ოსმალეთი კავკასიაში აპირებდა დანაკარგის ანაზღაურებას. მას იმპერიალისტური მადა გაეღვიძა, უკიდურეს პირობებში ჩაგვაყენა და გვაიძულა სამარცხვინო ზავის პირობებს დავყაბულებულიყავით. მაგრამ ოსმალეთი ამითიც არ დაკმაყოფილდა. იგი ავანტიურისტულ გზას დაადგა, ხან ერთს კუთხეში მოინდომა აჯანყების მოხდენა ჩვენს წინააღმდეგ, ხან—მეორე კუთხეში. აი სწორედ მაშინ მოიწვია საქართველოს მთავრობამ გერმანია და ამ უკანასკნელის მფარველობით დაიხსნა ჩვენი ქვეყანა ოსმალეთის შემოსევისაგან, დაიხსნა ხალხი ფიზიკური განადგურებისაგანა და აოხრებისაგან.

ყველას ძალიან კარგად ახსოვს, რანაირი პანიკა იყო შექმნილი მაშინ, როდესაც ოსმალეთის ჯარი და თათართა ბრბოები ტფილისს უახლოვდებოდნენ. მაშინ ყველა ვინც კი საქართველოსთან დაკავშირებული არ იყო, ვინც კი მწარედ არ განიცდიდა ტანჯვას იმ უბედურების გამო რომელიც ქართველ ხალხს თავს უნდა დასტეხოდა, ტფილისიდან გარბოდა, მხოლოდ თავისი საკუთარი თავის გადარჩენაზე ფიქრობდა.

იმ დროს, როდესაც ლტოლვილთა ავტომობილები, ეტლები და ურმები გრძლად გაიჭიმა სამხედრო გზაზე,—საქართველოს ეროვნული საბჭო ფრეილინის ქუჩაზე უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის საკითხს სწყვეტავდა მაშინ გადასწყდა პირველად საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, მაშინ ჩაეყარა პირველად საფუძველი ასის წლის მონობისაგან განთავისუფლებულ საქართველოს.

მაშინ ამ აქტს მაინცა და მაინც დიდი წინააღმდეგობა არავინ გაუწია. ერთი მეორეზე დიდ-მნიშვნელოვანი ამბები ისე ზედი-ზედ მოსდევდა ერთმანეთს, გათამამებული ოსმალეთი ისე ახლოს იდგა საქართველოს დედა-ქალაქთან, რომ როგორღაც სათანადო ყურადღება არ მიაქციეს ამ აქტს საქართველოს მტრებმა. ამიერ-კავკასიის საზავო მოლაპარაკების გამართვა ოსმალეთთან, ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის დეკლარაცია, ამიერკავკასიის დაშლა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება,—ყველაფერი ეს ისეთის ელვის სისწრაფვით მოსდევდა ერთი მეორეს, რომ მტრები გონს ვერ მოვიდნენ.

რამდენადაც დრო მიდიოდა, რამდენადაც მეტად მტკიცდებოდა და ღრმავდებოდა ჩვენი დამოუკიდებლობა, იმდენად უფრო მწვავდებოდნენ ჩვენი მტრები დ ირაზმებოდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. მათ ეგონათ და ეხლაც ჰგონიათ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება მხოლოდ დეკლარაცია იყო, გამართული ვილაცის მოსატყუებლად. როდესაც დარწმუნდნენ, რომ ეს ასე არ არის, როდესაც დარწმუნდნენ. რომ საქართველომ მხოლოდ დეკლარაცია კი არ განაცხადა, მართლა ჰსურს თავისი დამოუკიდებლობის განმტკიცება და სახელმწიფოებრივი კავშირის გაწყვეტა რუსეთთან,—როდესაც ამაში დარწმუნდნენ, დაიწყეს აშკარა განგაში ჩვენი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ და ბევრს ადგილას აჯანყებების მოხდენაც კი მოახერხეს.

ორნაირ მოტივს ვამჩნევდით ჩვენს მოწინააღმდეგებს: 1) მუქარას და 2) მტკიცებას, რომ ჩვენ დამოუკიდებლად არსებობა არ შეგვიძლიან, არ შეგვიძლიან სახელმწიფოებრივი მექანიზმის შექმნა.

მუქარა რასაკვირველია, საბუთი არ არის. თუ რუსეთში მონარქიული წესწყობილება დამყარდა, მოინდომა თავისებურად, ბარბაროსულად განადგურება საქართველოს დამოუკიდებლობისა და ამის წინააღმდეგ პროტესტი არ განაცხადა ევროპამ,—რასაკვირველია იგი შესძლებს და საქართველოს გასრისავს. ეს იქნება აქტი უსინდისო ძალადობისა და ძალადობის წინააღმდეგ კი, როგორც მოგეხსენებათ, უფლება უძლურია. მაგრამ ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ევროპა, რომლის წინაშეც წარსდგება პატარა, თავისუფლების მოყვარული ერი დახმარებას გაუწევს მას და დიდი ერების და სახელმწიფოების ჩასაყლაპავად არ გახდის. ხოლო, თუ ევროპამ უზრუნველყო ჩვენი დამოუკიდებლობა, ვეღარც რუსეთი გაბედავს აგრესიული ნაბიჯების გადადგმას საქართველოს წინააღმდეგ. არ ვიცით საქმე როგორ დამთავრდება, მაგრამ თუ ვილსონის ნოტას გავითვალისწინებთ, საქართველოს სრული უფლება აქვს დამოუკიდებლად არსებობისა.

რაიცა შეეხება მეორე საბუთს, ეს კი შეიძლება სადავო გახდეს, ხოლო არა ჩვენთვის არამედ რუსეთისათვის. ვინც იტყვის საქართველოს დამოუკიდებლად არსებობა არ შეუძლიან, მას ვერ შეუძლიან სახელმწიფოს შექმნაო, იმან ამით ისიც უნდა სთქვას, რომ სახელმწიფოს შექმნა ვერ შეუძლია დემოკრატიას. მართალია ჩვენი მტრები არიან, მაგრამ გვგონია, მტრებსაც მოეთხოვებათ ერთგვარი ობიექტივობა ერის ნიჭის დაფასებაში. და თუ ჩვენ ამ თვალსაზრისით შევხედავთ ჩვენს ერს, უფლება არ გვექნება იგი ისეთს უნიჭო ერად დავსახოთ, რომელიც ვერავითარ პირობებში, მაშინაც კი, როდესაც ომი გათავდება და ჩვენი დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილი იქნება, თავის სახელმწიფოებრივობას ვერ შექმნის. ჩვენ ვიცით, რომ ამისთანა აზრისა არიან ზოგიერთები თვით ქართველებშიაც. მაგრამ ეს უმეტეს წილად გადაგვარებული ქართველები არიან, აღზრდილნი არისტოკრატიულ ატმოსფეროში, რომელთაც დაჰკარგვიათ იმედი და სასოება საქართველოს აღდგენისა მხოლოდ იმიტომ, რომ ამ საქმეს ხელი მოჰკიდა დემოკრატიამ, თვით ხალხმა.

ჩვენს მომავალს უიმედოდ, ჩვენს ძალღონეს სკეპტიკურად დღეს მხოლოდ გადაგვარებული, გათახსირებული და მონურ ატმოსფეროში აღზრდილი ელემენტი უცქერის.

დემოკრატია კი, რომელიც ხალხთან არის შესისხლხორცებული, იმედიანად უცქერის მომავალს, სრული იმედი აქვს თავისი ძალღონისა, თუ რასაკვირველია გარეგანმა უხეშმა ძალამ ძალით არ ჩაჰკლა ჩვენი დამოუკიდებლობა. თუ თავი დაგვანებეს, თუ ამოგვასუნთქვინეს ჩვენ შევძლებთ ჩვენი თავისუფლების განმტკიცებას და ხალხსაც თავისუფლები განვითარების გზაზე გამოვიყვანთ.

ამ რიგად, ჩვენს უნიჭობაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. ჩვენ გვაქვს საკმაო პოტენციალური ძალა, ძალა დაგროვილი ათასი წლის კულტურული ცხოვრებით, რომელიც ჩვენი ნიჭის საკმაო გარანტიად უნდა ჩაითვალოს. ჩვენს პატარა ერს ზურგზე ათასი წლის კულტურა ჰკიდია და ეს გარემოება რამეს უნდა ეუბნებოდეს იმას, ვინც ჩვენს უნიჭობაზე დაიწყებს ლაპარაკს.

და თუ ამ ნიადაგზე არ დავდგებით, მაშინ ჩვენ იძულებული გავხდებით აღვიაროთ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცება არ შეგვძლებია მხოლოდ იმიტომ, რომ მას ანხორციელებს დემოკრატია. რუსეთში დღემდის მონარქიული წეს-წყობილება იყო, ეხლა კი ბოლშევიკური ვაკხანალიაა. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ხვალ იგი ისევ მონარქიულ წეს-წყობილებას დაუბრუნდება. მტრებიც კი იძულებულნი არიან აღიარონ, რომ რუსეთის ყოფილ ტერიტორიაზე საქართველო ერთად-ერთი კუთხეა, სადაც ჯერ კიდევ შეიძლება ცხოვრება და ნორმალური განვითარება, სადაც ჯერ არ მომკვდარა რევოლიუცია და თავისუფლება ამ სიტყვის ნამდვილის და არა ანარქისტულის მნიშვნელობით. საქართველო ერთად-ერთი კუთხეა, სადაც რევოლიუციით მოპოვებული თავისუფლებანი სახელმწიფოებრივ, უფლებრივ ჩარჩოებში ყალიბდება და ქვეყანა უპასუხისმგებლო პირთა სათარეშო მოედნად არა ჰხდება ეს მხოლოდ საქართველოს დემოკრატიის ნიჭსა და სახელმწიფოებრივი საალმშენებლო უნარს უნდა მიეწეროს.

მართალია ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, მართალია ჩვენს მთავრობასაც ბევრი შეცდომა მოსდის, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივობას განსაკუთრებულ პირობებში ეყრება საფუძველი. ჩვენ ოთხი წლის ომის შემდეგ გვიხდება საალმშენებლო დადებითი მუშაობა. ნუ დაგვავიწყდება, რომ სახელმწიფოებრივობის შექმნა, სახელმწიფო აპარატის განახლება ჩვენ გვიხდება ოთხი წლის ომის შედეგების ლიკვიდაციის ხანაში. ამ ომმა აშენებული და გამართული სახელმწიფოები დაანგრია. ნუ თუ უნდა გაგვიკვირდეს, თუ ჩვენ ახალის შექმნა ვერ მოვახერხეთ ასე მალე და ისე კარგად, როგორც ეს დამშვიდებულსა დ უფრო ხელსაყრელ პირობებში შეიძლება? რა თქმა უნა არა.

ყველა ზემოდ თქმულის შემდეგ ჩვენ მხოლოდ ერთი დასკვნა შეგვიძლიან გამოვიყვანოთ: საქართველოს შეუძლიან დამოუკიდებლად ცხოვრება და იცხოვრებს კიდეც. მხოლოდ ამისთვის საჭიროა დაცული იყოს ორი პირობა: საჭიროა ჩვენი დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილი იყოს ევროპის მიერ და შიგნით მოღალატენი და დეგენერატები არ გამოჩნდნენ, რომლებიც რაიმე მოსაზრებით დემოკრატიის ღალატს ჩაიდებენ გულში და კვლავ გაიწევენ იქითკენ, სადაც მონარქისტული წესწყობილების აღდგენას მოელიან.

დღევანდელ პირობებში რუსეთისკენ გაიწევს საქართველოს ან ბოლშევიკი ან მონარქისტი. დემოკრატიული წესწყობილების გულწრფელი მეგობარი კი საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცების ნიადაგზე დადგება და ჩვენს განთავისუფლებულ საქართველოს ისევ ყვავ-ყორნების საგლეჯად არ გახდის.

საქართველოს დიდი კულტურული მომავალი აქვს. მდიდარი და ლამაზი ქვეყანა თავისუფლების მოყვარული ერით,—აი რა არის საქართველო და ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს არ ვისურვოთ, რომ იგი მუდამ თავისუფალი იყოს, მუდამ ლაღადა ჰგრძნობდეს თავს და მტკიცე ნაბიჯით მიდიოდეს იქითკენ, საითკენაც მიდის მთელი კულტურული კაცობრიობა.

ამიტომ ტყუილად იმედოვნებენ სხვა და სხვა ჯურის ნაციონალისტები, თითქოს საქართველოს დამოუკიდებლობა პოლიტიკური ვოდევილია, რომელიც დემოკრატიამ წაითამაშა პოლიტიკური ტრაგედიის შემდეგ. არა! საქართველოს დამოუკიდებლობა მართალია-სასიხარულო მოვლენაა; მართალია იგი უდიდეს სიტკბოებას აგრძნობინებს ყველას, ვისაც კი სამშობლო უყვარს, მაგრამ იგი მაინც ვოდევილი არ არის იგი ღრმა პოლიტიკური მოვლენაა, ღრმა პოლიტიკური განცდა და ეს ჯერ შეუძლიან დაინახოს მხოლოდ იმას, ვისაც მხოლოდ ერთი სამშობლო ჰქონია: სამშობლო მპყრობელი, სამშობლო მჩაგვრელი, სამშობლო ტირანიული. დაჩაგრული და დამონებული სამშობლოს შვილი კი უდიდეს სიხარულს განიცდის, სიხარულს განთავისუფლებისას და არც ასე ადვილად დაუთმობს ვისმეს თავისი მშობელი ერის თავისუფლებას.

არ. ჯაჯანაშვილი.

ტფილისის საგუბერნიო ყრილობა

საქ. სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაციების წარმომადგენლებისა დანიშნულია ოქტომბრის 20-ს, დილის 10 ს. ტფილისის პარტიულ კლუბში.

საგანი ყრილობისა:
1. მოხსენება საგუბ. კომიტეტისა
2. მიმდინარე საკითხები.
3. საგუბ. კომიტეტის არჩევნები.

ორგანიზაციებს ევალებათ თითო წარმომადგენელის გამოგზავნა.

პარლამენტის გარშემო

სახელმწიფო კანტროლიორის პროექტი საქ. პარლამენტში. სახელმწიფო კანტროლიორმა საქ. პარლამენტს წარუდგინა მოხსენება: 1) სახელმწიფო კანტროლიორის დებულებისა; 2) კანტროლის დროებითი შტატებისა: 3) რევიზიის წესდების პროექტთა დამტკიცების შესახებ. მოხსენებაში აღნიშნულია სხვათა შორის, თუ რა სისტემით სწარმოებს კანტროლი დასავლეთ ევროპაში.

უკანასკნელი ცნობები

ოსმალთა გასვლა ამიერ-კავკასიის ტერიტორიიდან. სომხეთის დიპლომატიური წარმომადგენელი უკრაინაში ძამოიანი დეპეშით ატყობინებს ჯამალიანს, რომ გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრმა ოფიციალურად აცნობა მას, რომ ოსმალოებმა თანხმობა განაცხადეს წავიდნენ ამიერკავკასიის იმ ტერიტორიიდან, რომელიც ბრესტის ხელშეკრულობით მათ არ ეკუთვნის.

ომის დეპეშები

დასავლეთის ფრონტი.

ბერლინი 10—12. გერმანელ კრონპრინცის ლაშქარი. უაზაზე მზვერავთა შორის ბრძოლაა. ლაონის სამხრეთით ჩვენ შმენ-დე-დამი დავსტოვეთ. შამპანში მძიმე ბრძოლების დროს, სადაც გერმანელ ფონ-ეინემს მცირე რიცხოვანი ლაშქარი ფრანგ-ამერიკელების მრავალ რიცხოვან ჯარებს ებრძოლა 14 დღის განმავლობაში, მტრის ძალები მთლად დაიშრიტა და ძალიანაც დაზარალდა.

ბერლინი 10—13. კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი. მტერი შემოიჭრა ნეუვილის ორივე მხრით ჩვენს პოზიციებში. ჩვენი კონტრ-იერიშები ბრწყინვალედ დამთავრდა და მტერიც გავრეკეთ.

გერმანელ კრონპრინცის ლაშქარი. უაზისა და ენს შუა მტერი გუშინ დაგვედევნა, ჩვენ რომ ვიწევდით საზურგო პოზიციებისკენ. სალამოს მან მიაღწია სენ-გობენის ტყეებს და მაღლობებს ელეტისა და ამიფონტენის ჩრდილოეთით.

ჰალვიცის ლაშქარი მტრის იერიშები მაასის დასავლეთ ნაპირას უნაყოფოდ ჩატარდა. განუწყვეტლივ სწარმოებდა ბრძოლა მაასის აღმოსავლეთით.

პარიზი 10—13. ფრანგების მე-10 ლაშქრის ჯარი დღეს ლაონში შევიდა, სადაც 8500 მოქალაქე იქმნა განთავისუფლებული. ფრანგები ფართო ფრონტზე გავიდნენ ქალაქის იქით უაზსა და ელეტის ჩრდილო ნაწილს შუა. ფერის აღმოსავლეთით ფრანგები სერიის სამხრეთ ნაპირს მიადგნენ კურბეზის სადგურამდე. ფრანგებმა მიაღწიეს კამპლსუახონის მისავალს.

ბერლინი 10—14. კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი. დღეს ორივე მხრით მტრის იერიშები მოვიგერიეთ. კამბრეს ჩრდილო-აღმოსავლეთით მტერს იერიშები მოაქვს.

გერმანელ კრონპრინცის ლაშქარი. ლაონის ჩრდილოეთით და ენზე ჩვენ ახალი პოზიციები გვიჭირავს. ბრწყინვალედ ვმოქმედებთ შმენ-დე-დამზე და სიუპზე.

ჰალვიცის ლაშქარი მაასის ორივე მხრით საგულისხმო არაფერი მომხდარა. ჩვენ დავიბრუნეთ ის ადგილები მტერმა რომ ოქტომბრის 12-ს დაიპყრო.

ბალკანეთის ფრონტი

ბერლინი 10—14. ალბანიის ჯარს უკან რომ იწევს, შეტაკებები აქვს მტრის ჯართან. ნიშის ჩრდილოეთით ბრძოლა უნდა გრძელდება: ბრძოლაში მონაწილეობას იღებენ მოქალაქენიც [illegible]ებით მწვავეა მტრის შემოტევა მოროვის ჰალაში.

ზავის გარშემო

გერმანული პრესის ცნობა

ბერლინი 10—11, პრეზიდენტ ვილსონის საპასუხო ნოტა შვეიცარიით მოვიდა დღეს 36 საათის დაგვიანებით.

ამსტერდამი 10—11. „მორნინგ პოსტი“ იტყობინება: მოკავშირეთა მთავრობები სავსებით უერთდებიან ვილსონს გერმანიის წინადადების გარჩევის საკითხში. მოკავშირეებს გადაწყვეტილი აქვთ არავითარი პასუხი არ გასცენ გერმანიის წინადადებას, ვიდრე უკანასკნელი გარკვევით არ განუმარტავს ვილსონს თავის პირობებს.

ჟენევა. 10—11. სოციალისტი დეპუტატი რაფფიკ-დუგენს და მისი მომხრეები განმარტავენ, რომ ელზას-ლორენის ავტონომია დიდი დათმობაა გერმანიის მხრით. საგულისხმოა, როგორ შეიცვალა კლემანსოს ტონი. „ომ-ლიბრში“ ის ასე ათავებს თავის სიტყვას: „ჩვენ მოვალედ ვსთვლით თავს ზავის ყოველი წინადადება განვიხილოთ. ჩვენი პასუხი უარყოფითი იქნება მანამდე. სანამ ცენტრალურ სახელმწიფოთა პოზიცია ძირიანად არ შეიცვლება“.

ბერლინი 10—11. „ფორვერტსის“ აზრით ზავის საქმეები კარგ მდგომარეობაშია. ვილსონის მიერ წამოყენებულ სამ საკითხში პირველი და მესამე პოლიტიკური ხასიათისა, ხოლო მეორე სამხედროა. გაზეთი დარწმუნებულია, რომ პოლიტიკური საკითხები არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. მეორე სამხედრო—ომის საკითხი კი ჯერ არ შეიძლება საჯაროდ იქნეს განხილული.

ბერლინი 10—11. „ნიუ-კ ურანტის“ სამხედრო თანამშრომელი აღნიშნავს, რომ გერმანიის წინადადების უარყოფა აუცილებლად გამოიწვევს ომის გაგრძელებას უკანასკნელ წუთამდე, ბელგიის და ჩრდილოეთ საფრანგეთის განადგურებას, რადგან საზავო წინადადების უარყოფით გერმანია უკიდურეს მდგომარეობაში იქნება ჩაყენებული. თვით ფაქტი მეთოდიური დახევისა იმას ჰმოწმობს, რომ გერმანიის ფრონტი გარღვეული არ არის და გერმანიის ჯარიც დამარცხებული. ჯარი, რომელიც მტრის უზომო მოთხოვნების გამო სასოწარკვეთილებამდე მივა, სასტიკ წინააღმდეგობას გაუწევს მტერს.

ჟენევა 10—11. გაზ. „ტან“ იტყობინება: მოკავშირეთა მთავრობებს შორის უკვე მოხდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. საბოლოო დადგენილება გამოტანილი იქნება ხუთშაბათს ვერსალის სამხედრო საბჭოში.

ფრანკფურტი 10—11. „ფრანკფურტის გაზეთი“ იტყობინება: პარიზიდან ცნობები მოვიდა, რომ იქაური მთავრობის გაზეთები მოუწოდებს ზავის წინააღმდეგ და პროპაგანდას ეწევიან განმანადგურებელ ომისათვის.

პარიზი 10—11. „ტან“-ის ცნობით რადიკალებმა და სოციალისტ-რადიკალებმა ერთხმად დაადგინეს მოსთხოვონ შეთანხმების სახელმწიფოთა დიპლომატებს, რათა მათ ისარგებლონ შექმნილ საომარ მდგომარეობით და დააჩქარონ საყოველთაო ზავი.

„ექო დე პარი“-ს ატყობინებენ ვაშინგტონიდან, რომ ამერიკის პოლიტიკურ წრეებში ზავის წინააღმდეგი არიან და მოითხოვენ ომის გაგრძელებას გამარჯვებამდე.

კანადიდან ცნობები მოდის, რომ იქაური პრესაც ომის გაგრძელებას მოითხოვს

ლუგანო. 10—11. ცენტრ. სახელმწიფოთა საზავო წინადადებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იტალიის მცხოვრებლებზე, მაგრამ ომის ქინით შეპყრობილნი ყოველ ღონეს ხმარობენ რომ ეს შთაბეჭდილება დაჰფარონ.

ბერლინი 10—11. ჰოლლანდიის სამეფო საბჭომ ჰოლანდიის ელჩად ვაშინგტონში დანიშნა კოლონიათა მინისტრი კრამერი, რომ ყოველ შემთხვევისთვის მზად იყოს საზავო შუამდგომლობისათვის.

ლუგანო 10—11. იტალიის მთავრობაც გამოეხმაურა ცენტრ. მთავრობათა საზავო წინადადებას. სტეფანის სააგენტოს საშუალებით ის აცხადებს, ზავის წინადადებას მხოლოდ მაშინ მივიღებთ, როდესაც მტერი ისეთ მოთხოვნებს შეასრულებს, რომელიც შეუძლებელს გახდის მისთვის ომის გაგრძელებას. მაგრამ საეჭვოა, რომ ცენტრალურმა იმპერიებმა ასეთი პირობები მიიღონ. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ მათი ნაბიჯები

უნაყოფოდ ჩატარდება. სამართლიანი ზავი ახლოა, მაგრამ ჯერ არ მივახლოვებულვართ უმეშველოდ ზავი მით უფრო მოახლოვდება, რამდენადაც მშვიდი და გულგრილი დარჩებიან შეთანხმების სახელმწიფოთა ერები.

გაზ. „ომ ლიბრ“ მეთაურში „არავითარი ზავი“ სწერს: „ვილსონის პირობების საფუძველზე დადგომა კიდევ არ ჰნიშნავს ამ პირობების მიღებას. საკითხი იმაშია, მიიღებს თუ არა მტერი ამ პირობებს ამისთვის სრულებით არ არის საჭირო წინასწარი ზავი“. პარიზის პრესის სხვა ცნობიდან სჩანს, რომ კლემანსოს აზრით საჭიროა პასუხის გადადება ვიდრე ზედმიწევნით არ იქნები გამორკვეული ცენტრალურ იმპერიების ზრახვანი.

ბერლინი. 10—10. „ფორვერტსი“ ეხება ფრანგ სოციალისტთა კონგრესის მანიფესტს, რომელშიაც ისინი გერმანიის საზავო წინადადებას მოითხოვდნენ მოკავშირეთა სახელმწიფოებისაგან, და სწერს: „მეომარ სახელმწიფოთა სოციალისტებს იშვიათი შემთხვევა ეძლევათ დაამტკიცონ თავისი სამშვიდობო სურვილების ძალა და განახორციელონ ეს სურვილი ისტორიული გადაწყვეტილებით. ეჭვის მიტანაც აღარ შეიძლება იმაში, რომ დემოკრატიზმის პოზიციაზე დამდგარს გერმანიის ხალხსა და მთავრობას გულწრფელად ჰსურს ზავი. გერმანიის ნოტა, ვილსონისადმი მიმართული, იმას ამტკიცებს, რომ ხალხს ზავი ჰსურს. ეს იმითაც მტკიცდება, რომ გერმანია მზად არის მოლაპარაკებას საფუძვლად დაუდვას პროგრამა, რომელიც რასაკვირველია არაა შედგენილი გერმანიისადმი მეგობრული გრძნობების ზედგავლენით“.

ფრანგული გაზ „პოპიულერ“ სწერს: დადგა გარდამწყვეტი დრო. ეხლა მთავრობის ვალია სთქვას ის სიტყვა აღდგენისა, რომელსაც ასე ელის მილიონი ხალხი. ხალხი გულდასმით ადევნებს თვალ-ყურს თავისი მთავრობის მოქმედებას. აწ უკვე შეუძლებელია ორჭოფული ფრაზები, მიკიბ-მოკიბვა. ზავი მოახლოვდა, კარზე გვირაკუნებს“.

იმავე გაზეთში ლონგუე სწერს: საზავო წინადადებაზე ჩვენმა ალარმისტრებმა ყიჟინა მორთეს—ომი ბოლომდეო: ჩვენ გვესმის მათი ანექსიონისტური ზრახვები, მაგრამ ნუ თუ არ ესმით, რომ მათი გამარჯვებისათვის სისხლს ჰღვრიან ჯარისკაცები, რომელთა საშინელ მსხვერპლს ვერასდროს ვერ შეიგნებენ მათი მმართველები. თავისი ფანტაზიით დამთვრალნი, ისინი გაიძახიან— გერმანელები გავანადგურეთო, და არ უნდათ აღიარონ, რომ მიუხედავად პანგერმანელებისა და იუნკერების დასუსტებისა, გერმანელებს 11 მილიონი ჯარისკაცი მაინც ჰყავთ.

გერმანიის პრესის აზრი.

გერმანიის პრესა კმაყოფილია ვილსონის ნოტის კილოთი. „ფორვერტსი“, მაგალითად სწერს ამისთანა სათაურიან წერილს: ზავის სასარგებლო პერსპექტივები“. მთელი ოთხი წელიწადი და სამი თვეც ქვეყნიერება ომით ავად არის. რასაკვირველია, შეუძლებელია უცბად ომის შეწყვეტა, რამდენიმე საათში. ამიტომ მოთმინებით უნდა აღვიჭურვოთ საფრანგეთის ჩვენმა კოლეგამ ლონგემ მოაგონა თავისიანებს, რომ გერმანიას ჯერ კიდევ თერთმეტი მილიონი კარგად გაწრთვნილი ჯარი ჰყავს. ჩვენ ვიბრძოლებთ, მაგრამ გვგონია, რამდენისამე თვის შემდეგ ველირსებით ზავს. ეხლა კი ისევ განვაგრძოთ მუშაობა შინ და ფრონტზე, რათა ტანჯულ კაცობრიობას სანატრელი ჟამი მოუახლოვოთ: დღეს თუ არა ხვალ ხომ უნდა გათავდეს ეს ომი.

„ფორვერსტი“ აღნიშნავს: საფრანგეთის ნოტა თავის მუქარით და სიფიცხით სრულიად არა ჰგავს ვილსონის დამშვიდებულ კილოს. თუ საფრანგეთი ჰფიქრობს გერმანიის ხალხის დამცირებით მიაღწიოს ზავს, მაშინ ფრანგთა სოციალისტებმა ხმა უნდა ამოიღონ თუ ისინი ამას არ იზამენ, გერმანიის სოციალ-დემოკრატია სრულიად გამართლებული იქნება თავის მომავალ მოქმედებაში.

„ალგემაინე ჰანდელბლადი“ ამბობს: ვილსონმა უნდა აღნიშნოს, რომ მოლაპარაკებაში მისი მოკავშირენიც მიიღებენ მონაწილეობას. ეხლა კი ისიც დიდი მონაპოვარია, რომ შესაძლებელი გახდა მეომართა შორის სამშვიდობო ლაპარაკის დაწყება.

გერმანიის რეიხსტაგი.

გერმანიამ ვილსონის ნოტა ბერლინში მიიღო მხოლოდ ოქტომბრის 10-ს. რეიხსტაგის სხდომა დანიშნულია, დღეს, ოქტომბრის 16-ს ნაშუადღევის 1 საათზე.

გერმანელი ტყვეები.

საფრანგეთიდან გერმანიაში ჩავიდა მატარებელი 500 გერმანელი ტყვეთი, რომელნიც ომამდე მაროკოში ცხოვრობდნენ. გრძელდება ტყვეთა გაცვლა

გერმანიის კანცლერი პრინცი მაქსი

ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, პროფესორი დელბრიუკი „ნორდ. ალ. ცაიტუნგში“ გერმანიის ახალ კანცლერზე სწერს:

„ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც კანცლერად მიხაელისი იყო, პრინცი მაქსი თავის წერილში არ მალავდა, რომ ის ზავის მომხრე იყო, თუმცა მაშინ მომენტს შესაფერისად არ სთვლიდა“.

დელბრიუკი სვამს კითხვას: შესაძლებელია თუ არა დემოკრატია პრინცის მეთაურობით: „ვინც თვალს გადაავლებს ისტორიას, ის იტყვის: დიახ, შესაძლებელია; შეიძლება ეს საკვირველი იყოს, მაგრამ მაინც ფაქტია, რომ ხშირად დემოკრატიის ლიდერები არისტოკრატები ყოფილან შთამომავლობით. ოლივერ კრომველი მემამულე იყო ყველაზე თვალსაჩინო ლიდერი საფრანგეთის რევოლიუციისა გრაფ მირაბო იყო. ვილჰელმ ორანელი გერმანელი პრინცი იყო. ძველ საუკუნეთა ისტორიის სამი დიდებული სახელი—ჰანიბალი, კეისარი პერიკლიტე—დიდებული გვართა სახელებია: მიუხედავად ამისა ამ სახელების მატარებელნი დემოკრატიის ლიდერები იყვნენ. დასასრულ, გრაკხები, რომელნიც ასეთ დიდ დემოკრატიულ მოძრაობას მეთაურობდნენ რომში, ამ ქალაქის ბრწყინვალე ოჯახს ეკუთვნოდნენ: ისინი დიდებულ სციპიონის შვილის-შვილები იყვნენ. არაფერია საოცარი, თუ დღეს გერმანიაში კვლავ გერმანელი პრინცი ახორციელებს დემოკრატიულ წყობილებას. და ამ დემოკრატიის სათავეში დგება ისეთი ადამიანი, რომელიც გარანტიას იძლევა იმისას, რომ ქვეყანაში შინაგანი კატასტროფა არ მოხდება, და ქვეყნის განვითარებაც ლეგალური გზით წავა“.

უცხოეთი

(გერმანული პრესის ცნობა)

ელზას ლორენი.

სტრასბურგის ქალაქის თავი დ-რ ყლანდერი დასთანხმდა ელზას-ლორენის მართველის პოსტზე ამასთანავე დადგენილია, რომ რეიხსტაგის წევრი (ელზას-ლორენიდან) ხაუსი ელზას ლორენის მთავრობაში სტატს-სეკრეტრად იქნეს.

ფინლანდიის მეფე.

ფინლანდიის პარლამენტმა 1772 წლის კონსტიტუციის ოცდა მეთვრამეტე მუხლის ძალით ოქტომბრის 9-ს ფინლანდიის მეფედ აირჩია გესენის პრინცი ფრიდრიჰ კარლოსი

ბერლინის პრესა აღნიშნავს: ეს არჩევანი ფინლანდიის კერძო საქმეა და გერმანიის ერის უმრავლესობას იგი სრულიად არ ეინტერესებაო.

ახალი ამბავი

◆ **ოფიცრების კრება.** რომელიც უნდა მომხდარიყო სასახლეში ოქტომბრის 13-ს არ შესდგა, რადგან სამხედრო მინისტრის ბრძანება მოვიდა: პარტიულ კრებების გამართვა ყოვლად შეუძლებელია ჯარშიო

◆ **ახალი ფეჩის გამოგონება** ტფილისში მცხოვრებ რუსის მღვდელს კოზმა პლუპნიკოვს გამოუგონია ახალი ფეჩი, რომელიც შეძლებას მისცემს ყველას ძლიერ ადვილად გააკეთოს თავისთვის ფეჩი.

◆ **ტფილისის ქალაქის საბჭომ** ოქტომბრის 14 სხდომაზე მიიღო დაშნაკელების წინადადება: გამოეცხადოს პროტესტი ბაქოში ხოცვა-ჟლეტის ხელმძღვანელებს და იქ დაზარალებულთა ოჯახების სასარგებლოდ გადაიდოს 50 ათასი მანეთი. დახმარება გაეწევა ყველას, განურჩევლად ეროვნებისა. ოქტომბრის 14-ს სხდომა გადაიდო გლოვის ნიშნად.

◆ **ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების დაბრუნების გამო.** ამ დღეებში ტფილისის სომეხთა ეროვნულ საბჭოს თავის სხდომაზე უთათბირნია იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყენონ ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები, რომელნიც საქართველოს კვლავ დაუბრუნდა ოსმალეთის მიერ. როგორც გავიგეთ, საბჭოს გადაუწყვეტია, იმ სოფლებში, რომელთა მცხოვრებნიც აწიოკდნენ და განადგურდნენ, შეავსონ და დაასახლონ ლტოლვილი სომხებით, რომელნიც ამ ჟამად ტფილისის მახლობლად მე-300 ვერსზე იმყოფებიან.

◆ **ფულის გატაცება ბანკიდან** ამიერკავკასიის ბანკის შენობის სახურავიდან ბოროტ-განმზრახველებს მოხერხებულად ამოუჭრიათ ბეტონის და რკინის ჭერი და თოკის კიბით ჩაშვებულან იმ ადგილს, სადაც ბანკის კასსა მოთავსებული. მათ გაუგლეჯიათ კასის კარები და გაუტაცნიათ, რაც იმ ჟამად ბანკში ფული და ფასიანი ქაღალდები მოიპოვებოდა. წასვლის დროს თოკის კიბე იქვე მიუტოვებიათ და ჩარდახით გაპარულან, გატაცებულ ფულის რაოდენო- გამორკვეული არ არის, გამოძიება სწარმოებს.

◆ **მ. კავსაძის გუნდის კონცერტი** დღეს, ოთხშაბათს, ოქტომბრის 16 ახალ კლუბში მიხ. კავსაძის გუნდი მართავს ორ განყოფილებიან სახალხო სიმღერების კონცერტს. გუნდი შესდგება 30 კაცისაგან გამოწყობილი ეროვნულ ტანისამოსით. სხვათა შორის გუნდი შეასრულებს გლეხურ განყოფილებას სოფლის ცხოვრებიდან.

◆ **დატუსაღებული თავად-აზნაურები** შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით გაანთავისუფლეს ბაგრატიონ-დავითაშვილი, ივანე ბეგთაბეგიშვილი და ალ დეკანოზიშვილი, რომელნიც შავი რაზმის ორგანიზაციის საქმეებისათვის იყვნენ დატუსაღებულნი.

— ამავე საქმისათვის დაატუსაღეს გრიგოლ იოსებისძე ჯავახიშვილი.

◆ **საადგილ-მამულო რეფორმა.** მიწათმოქმედების მინისტრმა კანონი შეიტანა მთავრობაში დასარიგებელ მიწის ნორმის შესახებ, რომ თავიდან აცილებულ იქნეს სოფლებში არა სასურველი აღელვება: უკანასკნელ ხანებში ხშირი მოვლენაა თურმე რომ სოფლელები თავისი ნებით ირიგებენ სახაზინო მიწებს.

◆ **ბრძოლა ბოროტმოქმედებთან.** ოქტომბრის 13-ს დილის 3 საათზე 19 თებერვლის ქუჩაზე სასტუმრო „შემახასთან“ მილიციელების ნაცვალიშვილის და ყაზაროვის, და რამდენიმე ბოროტმომქმედთა შორის შეტაკება მოხდა, მსხვერპლი არ ყოფილა. ბოროტგანზრახველებმა გაქცევა მოასწრეს მაგრამ იმავე დღეს დატუსაღებულ იქნენ რამდენიმე მათგანი, რომელნიც აღმოჩდნენ: ა. სარქისიანცი, ხ. ასლანიანცი და ხ. ვართანოვი, უკანასკნელს დატუსაღების დღეს აბრამოვის ქალისათვის წაურთმევია ფულად 13,000 მანეთი და 60.000 მანეთის სხვა და სხვა ნივთები.

◆ **რკინის გზაზე მოძრაობის განყოფილების უფროსმა** აბელიშვილმა განკარგულება მოახდინა, რომ ეპიდემიასთან ბრძოლის დასაჩქარებლად იმ პირთ, რომელნიც სამედიკო-სასანიტარო განყოფილებისაგან წარმოადგენენ მოწმობას, სამგზავრო ბილეთები რიგს გარეშე მიეცემათ.

◆ **თათბირი შრომის სამინისტროში.** გუშინ, ოქტომბრის 15-ს, დილის 9 საათზე შრომის სამინისტროში დაიწყო საერთო თათბირი საქართველოს რესპუბლიკის საფინანსო საეკონომიო მდგომარეობის და რკინის გზის მოსამსახურეთა მდგომარეობის შესახებ: თათბირს დაესწრენ ფინანსთა, გზათა, სასურსათო და შრომის სამინისტროების წარმომადგენლნი.

◆ **მილიციის უფროსის ბრძანება.** ტფილისის ქალაქის მილიციის უფროსმა წინადადება მისცა ყველა კომისარს, რომ დაუყონებლივ დათხოვნილ იქმნენ სამსახურიდან ის მილიციელები, რომელნიც სამსახურთან ერთად ვაჭრობას ეწევიან.

◆ **პური.** ტფილისში სდგება პურის მცხობელთა ორგანიზაცია, რომელსაც განზრახული აქვს გამოაცხოს თეთრი პური 3 მან. 50 კაპ. გირვანქა.

◆ **დანიშვნა.** დ. აფხაზი დაინიშნა საქართველოს საქონლის გამცვლელ კომიტეტის თავმჯდომარედ.

◆ **ხოლერა.** ოქტომბრის 13-ს ქალაქის საავადმყოფოში მოიყვანეს 3 ხოლერიანი, სამივე მორჩა. ამ დღეს საავადმყოფოში ითვლებოდა 39 ხოლერიანი და 9 საეჭვო ავადმყოფი.

◆ **დატუსაღებანი.** გარნიზონის უფროსის ბრძანებით დატუსაღებულ იქმნენ: პოლკ. გოგიტაძე, პოდპოლ. ლეონიძე და პორუჩ. ნაჭყეპია შაქრის სპეკულიაციისთვის პრაპორჩიკები: ძიძიგური, ჩიქოვანი და ჩიჩუა ალექსეევის ჯარში ჩასაწერად წასვლის სურვილისათვის. პორუჩ. სანაია მკვლელობისათვის.

◆ **დაჭრა.** ოქტომბრის 13-ს მუშათა კლუბში უცნობ ოფიცერს და სადგომის გამგე კერნერის შორის პირად ნიადაგზე წალაპარაკება მოხდა. ოფიცერმა რევოლვერი ესროლა და დასჭრა კერნერი. მსროლელი ერთიც უცნობი ოფიცერი მიიმალნენ.

◆ **ქურდობა.** ოქტომბრის 13-ს ანასტასია ტრონინის ქალმა მილიციაში განაცხადა, რომ მის ბინიდან ანიურკოვსკის ქალმა მოიპარა სხვა და სხვა ნივთები, სულ 6,045 მანეთად ღირებული.

სახელმწიფოს შენება და ქართველი ქალი

წერილი I.

მუდმივ ბრძოლა, რღვევასა და შემოქმედების პროცესში, ადამიანის აზროვნების დაკნინებისაგან უმწვერვალეს ამაღლებასა და გამარჯვებაში მიმდინარეობს კაცობრიობის ისტორია. ყოველ ეპოქას თან დაჰყვება ბრძოლის ახალი ფორმა, ახალი საკითხები, რომლებზეც პასუხის გაცემა ამ ეპოქას ხვდება წილად, ვალდებულია პასუხი გასცეს და ამით შეიტანოს კაცობრიობის მსოფლიო ღირებულობის სალაროში ახალი ღირებულება.

ჩვენმა ეპოქამ, რომელმაც სწრაფი ცვლილება მოახდინა მთელ დედამიწის ზურგზე მცხოვრებ ხალხთა ფსიქოლოგიაში და ცხოვრებაში, დაუსვა ქვეყნიერებას გადასაწყვეტად ისეთი დიდებული საკითხები, რომლის შესახებ ოცნებასაც კი ვერ ბედავდნენ წინა ეპოქის თაობანი.

საბედისწერო სფინქსის ამოცანად გამხდარა კაცობრიობისათვის მუშათა საკითხი და მოითხოვს მის გადაწყვეტას. ჯერ არ მომხდარა, ისეთის სიმწვავით და ძლიერებით მოევლინა ქვეყნიერებას ეროვნული საკითხი; მორალმა, ფილოსოფიამ და სარწმუნოებამ ახალი სახე მიიღო და შედგრად, დაჟინებით ითხოვს პასუხს ჭეშმარიტის მძებნელ ადამიანის მშფოთარე აზროვნებისაგან.

რამდენსაც არ ცდილობდნენ მიჩქმალვას, მაინც მთელი თავისი სიმკვეთრით დასდგა კაცობრიობის წინაშე და მოითხოვს გადაწყვეტას ქალთა საკითხიც. მე-19 საუკუნის ბოლო და დასაწყისი მე-20-ისა ცოცხალი სურათია იმისა, როგორ არაჩვეულებრივ გაძლიერდა მთელ მოწინავე კაცობრიობაში ქალთა მოძრაობა.

ქალთა მოძრაობის საგანი იყო უპირველეს ყოვლისა მოპოება პოლიტიკურ თანასწორობისა. ამ საანბანო ჭეშმარიტებისათვის ბრძოლამ შთანთქა ქალთა საქმისათვის მებრძოლ ქალთა ენერგია. თვითონ ბრძოლა, რომელიც ერთობ დიდ ძალღონეს მოითხოვდა, არ აძლევდა საშუალებას მოწინავე ქალებს ჩაჰკვირვებოდნენ სხვა მხარეებსაც, გადაეშალათ ქალთა საკითხი მთელი თავისი სივრცით და პოლიტიკურ დღის წესრიგში ის საკითხებიც დაესვათ, რომლებშიაც თუ მარტო თვითონ არა, უმაღლეს მსაჯულად მაინც ქალი უნდა ყოფილიყო.

ჩვენ, ქართველ ქალების წინაშეც ბედმა ისეთი კითხვები წამოაყენა, რომელიც არ ღირსებია ქვეყნიერებაზე, ცოტა გამონაკლისს გარდა არც ერთ სახელმწიფოს ქალებს. ქართველი ქალის წინაშე ფართედ გაიღო პოლიტიკური ცხოვრების კარები: ისეთი პოლიტიკური უფლებები, როგორიც ჩვენ ახლა გვაქვს, მხოლოდ ზოგიერთ ამერიკის მცირე მნიშვნელოვან შტატებისა, ავსტრალიის და ფინლანდიის ქალებს მოეპოებათ. ეს უფლებები ჩვენ, ქართველმა ქალებმა მივიღეთ სწორედ იმ დროს, როდესაც უნდა შევქმნათ საკუთარი ეროვნული სახელმწიფო და მაშასადამე ქართველ ქალებს საშუალება გვეძლევა შევიტანოთ ცხოვრებაში საკუთარი ჩვენი შემოქმედება, გავამდიდროთ საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრება ისეთი საკითხებით, რომლების აღძვრაც და პასუხის გაცემა-გადაწყვეტაც მხოლოდ ქალებს შეუძლიათ. ქართველ ქალებს წილად გვხვდა გაბათილება ყველა ქვეყნის ხალხთა ანტიფემინისტების დაჟინებული მტკიცებისა, რომ ქალთათვის საარჩევნო უფლების მინიჭება არაფერს არ შესძენს კაცობრიობას, რადგანაც ქალები შესძლებენ მხოლოდ განმეორებას უკეთეს შემთხვევაში, იმის შევსებას, რასაც მამაკაცები აკეთებენო ახალი ღირებულებით კი ისინი ვერ გაამდიდრებენ კაცობრიობის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებას, რადგანაც ქალებს ამისი ნიჭი არა აქვთო.

ვშიშობ, დღეს ასე ფართედ საკითხის აღძვრას ჩვენში გვისაყვედურებენ. გვეტყვიან, ჩვენ დღეს უნდა დავიცვათ ჩვენი ფიზიკური არსებობა, უნდა შევქმნათ ელემენტარული წესრიგი მაინც სახელმწიფოში, უნდა ვიხსნათ ხალხი მოსალოდნელ შიმშილისაგან და რა დროსია ქალთა საკითხების ფართედ წამოყენება და გადაწყვეტაო.

მაგრამ ამ თვალსაზრისით რომ შევხედოთ, ხომ ზედმეტად ჩაითვლება გადაწყვეტა მუშათა და აგრარულ საკითხებისაც, გაუგებარი იქნება ყველა სოციალური და ყველა პოლიტიკური საკანონმდებლო შემოქმედება საქართველოს მთავრობისა და ხალხისა, რამდენადაც საკითხები წარმოსდგება თანდათანობითი დემოკრატიულ პრინციპების მიხედვით.

ჩვენ გვგონია, რომ საჭირბოროტო პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც შეკრებილი იქნება მთელი ქვეყნის ცოცხალი ძალა; როდესაც მთელი ხალხის ყველა ჯგუფებში გაიღვიძებს ენერგია და წყურვილი შემოქმედებისა; როდესაც სახელმწიფოს შენებაში ყველა მოქალაქე აქტიურ მონაწილეობას მიიღებს. ამის შესრულება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც მცხოვრებთა ყველა ჯგუფი დაიცავს თავის ინტერესს და ამავე დროს დაუკავშირებს ამ ინტერესს მთელი სახელმწიფოს ინტერესებს. უყურადღებოდ დატოვება კი მცხოვრებთა მთელი ნახევარისა—ქალებისა შეუძლებელი უნდა იყოს იმ მოქალაქის მხრით- რომელსაც უყვარს და სურს თავისი ქვეყნის აყვავება.

ამ წერილში ჩვენ გვსურს გამოვარკვიოთ, რა მდგომარეობაშია ქალი ჩვენში და ვუწევთ თუ არა ჩვენ, ქალები ჯეროვან ანგარიშს, რაც ხდება და რაც დაგვაკისრა დროთა და ჟამთა ბრუნვამ საერთოდ ყველას და კერძოდ ჩვენ ქალებს.

ჩვენი მთავრობა, რამდენადაც ძალღონე შესწევს და საშუალება აქვს, ცდილობს შექმნას კანონები შრომის დაცვისა. მოსისხლე მტრებიც კი ვერ უსაყვედურებენ მთავრობას, რომ მუშათა საკითხს ყურადღებას არ აქცევთო.

მაგრამ რაც შეეხება ქალთა შრომის დაცვის სპეციალურ კანონმდებლობის დარგს კი, თითქმის არაფერი არ გაკეთებულა. ისეთ სამრეწველო დაწესებულებებში კი, სადაც დიდი უმრავლესობა ქალებია, არ არის შემოღებული ზედამხედველ-ქალების (ინსპექტრისები) ინსტიტუტი, რაც მთავარი.

მოთხოვნილებაა ქალთა საკითხისა შრომის პოლიტიკაში ამდენ ხანს არ არის შემუშავებული ძირითადი წესები იმ სამრეწველო დაწესებულებათა შესახებ, სადაც მუშაობა ქალების აგებულებისათვის მავნებელია; არ არის წესები მუშა ქალთა დაცვისა და ორსულთა შესახებ. ჩვენ კი არ გვინდა ბრალი დავსდვათ მთავრობას, რომ ეს საკითხები არ არის გადაწყვეტილი, მაგრამ ეს საკითხები ჯერ არც კი არის დასმული, რომ მსჯელობის საგნად გახდეს. და ჩვენ კი დარწმუნებული ვართ, ეს არ მოხდებოდა, საკანონმდებლო მუშაობაში რომ ქალებსაც მიეღოთ მონაწილეობა.

მიწის მფლობელობის (აგრარული) რეფორმის ცხოვრებაში გატარების დროს ჩვენს წინაშე, იმის გამო რომ ეს რეფორმა ჯერ დაწვრილებით შემუშავებული არ არის, ბევრი მაგალითია, რომ დარღვეულა ინტერესი ცოლისა, ქვრივი ქალისა, დისა, მაშინ როდესაც ინტერესი ქმრისა და ძმისა დაცულია.

ჩვენ ახლა ვლაპარაკობთ სახელმწიფოს იმ დარგების შესახებ, საითკენაც მიმართულია ჩვენი დემოკრატიის ყურადღება, მაგრამ არის ბევრი ისეთი საკითხი, რომლებიც სრულიად არ აღუძრავს არავის და აუცილებელი კია. ამას მოითხოვს მთელი სახელმწიფოს ინტერესი, რომ რაც შეიძლება ჩქარა დაისვას და გადასწყდეს ეს საკითხები და ამის შესრულებას კი შესძლებს მხოლოდ ქალი.

ამ ბოლო წლებში ქალთა მოძრაობამ ევროპაში მთელ ქვეყნიერების წინაშე ახალი საკითხი აღძრა: ამ საკითხის გადაწყვეტა ერთობ საჭიროა კაცობრიობის განვითარებისათვის. ეს არის საკითხი **დედობისა და ბავშვობის დაცვისა.** ჩვენ ვიცით რამდენი ქალი იკლავს თავს, რამდენი შემაძრწუნებელი ტრაგედია ხდება ეგრედ წოდებულ „უკანონო“ ცოლ-ქმრობის ნიადაგზე.

(დასასრული იქნება)

ნინო ნაკაშიძე.

◆ **გაძარცვა.** ოქტომბრას 11-ს ღამის 9 საათზე ვ. პოლონსკის და ნ. გვარამაძის ბინიდან ყორღანოვის ქუჩა № 11, ბოროტ-მოქმედებმა წაიღეს 20.000 მანეთის სხვა და სხვა ნივთები.

◆ **დატუსაღება.** ოქტომბრის 11-ს მილიციამ შეიპყრო საეჭვო ეტლი, რომელსაც 20 ათასი მანეთის ღირებული საცვლები მიჰქონდა. აგრეთვე კომისარმა დაატუსაღა ოფიცრები ჯაჯანაშვილი და წერეთელი, რომელთაც ეს ქურდობა ბრალდებათ.

◆ **სოფლის კოოპერატივების საყურადღებოდ.** ტფილისის მომარაგების კომიტეტი ამით აცხადებს, რომ მას აქვს გადადებული სოფლის კოოპერატივებზე გასასყიდად ასი ათასი წყვილი საცვალი (თეთრეული) ნარმის (ბიაზისა). წყვილი ღირს ხუთ თუმნად. მისამართი: მომარაგების კომიტეტი, ტფილისი, შტაბის ქ. №2

◆ **„ხალხის მეგობარს“** ამხ. ვანო დუშურაშვილი სთხოვს გაზეთებს ნუღარ უგზავნიან, რადგან ძლერ დაგვიანებით მოდის.

სოფლად და ქალაქად.

თელავი.

◆ საერობო არჩევნები ყველა სოფლის რაიონში უკვე გათავდა. პირველი ერობის ხმოსანთა კრება დანიშნულია ოქტომბრის 13-ს ახ. სტილით.

ძ. ახალსენაკი.

◆ აქ კარგა ხანია სამაზრო საერობო ხმოსანთა კრება გაიხსნა. კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ნაფიცი ვექილი გ. მაღრაძე. გამგეობის თავმჯდომარედ ი. სალაყაია. ერობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სწავლა-აღზრდის საქმეს; მან დაადგინა: მიიღოს ყოველივე საშუალება, რათა განათლების საქმე დაყენებულ იქმნას სასურველ დონეზე.

◆ ერობის პირველ სხდომების დროს მარტვილიდან ჩამოიყვანეს ბოლშევიკების მეთაურები აკაკი ოჩიგავა და ქაჯაია. მათ რევოლიუციონერმა ტრიბუნალმა გადაუწყვიტა სიკვდილით დასჯა. ერობამ ეს დადგენილება მიიჩნია სამართლიანად, მაგრამ აღძრა შუამდგომლობა ჩვენი მთავრობის წინაშე, რომ სიკვდილით დასჯა ზემოხსენებულ პირებისა შეეცვალად სხვა სასჯელით, ვინაიდან ერობას არ უნდოდა თავისი პირველი სხდომები დაჩრდილულ ყოფილიყო ვინმესი სიკვდილის დასჯით.

◆ ადგილობრივი პირველ დაწყებითი სასწავლებლები ამ ზაფხულზე დათმობილი ქონდა ჯარს. სამწუხაროდ მათ მიერ სკოლის შენობა დიდად დაზიანებულია და მოითხოვს კაპიტალურ რემონტს. იყო შემთხვევა, როცა ჯარის კაცს ცხენები აუყვანია სკოლაში და ის გაუხდია საჯინიბოდ. როცა მივედით და შევეკითხეთ იმ ჯარის კაცს, რატომ ჩაიდინა მან ეს, გვიპასუხა: „აბა, მინდორში ხომ ვერ გავაჩერებდი ცხენებს წვიმიან დროსაო“. საჭიროა დროზე იქმნეს სკოლის შენობები შეკეთებული, რათა მეცადინეობა სასწავლებლებში დროზე იქნას დაწყებული.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

ტფილისის საგუბერნიო ყრილობა საქ. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ორგანიზაციათა წარმომადგენლებისა დანიშნულია ოქტომბრის 20-ს, დილის 10 საათზე ტფილისის პარტიულ კლუბში საგანი ყრილობისა 1) მოხსენება საგუბ; კომიტეტისა. 2) მიმდინარე საქითხები 3) საგუბ. კომიტეტის არჩევნები. ორგანიზაციებს ევალებათ თითო წარმომადგენლის გამოგზავნა მაინც.

ტფილისის კომიტეტის არჩევნები კვირას, ოქტომბრის 13-ს წევრთა სიმცირისა გამო ვერ მოხდა. დღეს, ოქტომბრის 16-ს, საღამოს სწორედ 7 საათზე პარტიულ კლუბში ხელ-მეორედ არის კრება დანიშნული და გაიხსნება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს სწორედ საღამოს 7 საათ. კრების საგანია: 1) გრ. რცხილაძის მოხსენება სტამბოლის კონფერენციაზე, 2) მოხსენება ტფილ. კომიტეტისა და 3) არჩევნები.

ვიბრძოლოთ სიკვდილამდე!

ვუძღვნი მუმედ ბეგს
სამუსულმანო საქართველოს
განმათავისუფლებელ კომიტეტის დაარსების გამო

მას შემდეგ რაც ჩვენდა სამწუხაროდ და სამარცხვინოდ ბათომი დავკარგეთ, ვერც ერთი ნამდვილი ქართველის სული ვერ მოისვენებს მანამდი, სანამ ეს უმშვენიერესი მხარე ჩვენი ქვეყნისა ისევ საქართველოს არ შემოუერთდება. უსინიდისო პროვოკატორებმა მოსწამლეს პოლიტიკურად შეუგნებელი ხალხის არსება და ძმის საწინააღმდეგოდ ხელი აალებინეს. თავისი პირადი კეთილდღეობისათვის მზრუნავმა ზოგიერთმა ბეგმა და და მათმა ყურ-მოჭრილმა მომხრეებმა ხალხი კლდეში გადასჩეხეს და სასიკვდილოდ არ დაინდვეს. დღეს ყოველი ქართველი მუსულმანი კარგად გრძნობს, თუ რა უქნეს მას ამ წინამძღოლებმა, თუ როგორ ხიფათში ჩააგდეს იგი და რა მოელის მომავალში.

და ამიტომ ბუნებრივი იყო და არის ის საპროტესტო ხმა, რომელიც თურქების შემოსვლის პირველ დღეებშივე გაისმა აჭარის მთებში და რომელიც დღითი დღე იზრდება. მართლაც და ჩვენ რა გვაქვს საერთო ოსმალეთთან გარდა სჯულისა? თითქმის არაფერი და თუ კიდევ რამ გვაქვს, ისიც დახავსებული და უკუსაგდებია. ოსმალეთის უკულტუროსა და ლატაკ ხალხს რა შეუძლია რომ შეჰმატოს ჩვენ მხარეს გარდა გაჭირვებისა და უბედურებისა.

მუდმივმა ომებმა მოქანცა ოსმალეთი; იგი დღეს „ავადმყოფ ადამიანს“ წარმოადგენს და რაც უფრო ადრე გარდაიცვლება იგი მით უფრო სასიამოვნო და გასახარელი იქნება ყველა მის მეზობლებისათვის და განსაკუთრებით ჩვენთვის

ბათომი ოსმალეთს არ ეკუთვნის და არც უნდა ეკუთვნოდეს. მის სახსნელად მოსალოდნელია ჩვენ მოგვიხდეს ბრძოლა, ბრძოლა სასტიკი და საშინელი, მაგრამ ამან ვერ უნდა დაგვაფრთხოს.

ჩვენ არ შეგვიძლია მთელი ჩვენი არსებით ხელი არ შეუწყოთ იმ ახალ ორგანიზაციას, რომელსაც სამუსულმანო საქართველოს განთავისუფლება მიზნად დაუსახავს. რომ ჩვენ მხარეს მოღალატეებთან ერთად გმირების წარმოშობაც შეუძლიათ ეს ნათლად დაამტკიცა მემედ ბეგისა და სხვების მაგალითმა, მაგრამ ეს არ კმარა. სულ მალე მთელი ხალხის გმირული ბრძოლით დავამტკიცებთ ჩვენს შეგნებასა და სიყვარულს.

ჩვენ ვერ შეგვაშინებს ოსმალეთის მათრახი და ტყვია, სანამ საქართველოს თანაგრძნობა ჩვენსკენ გვიგულება. გადასახლებითა და სიკვდილით დასჯით ხალხის სულიერი მიდრეკილების მოსპობა არ შეიძლება, და თუ გნებავთ ამას ამტკიცებს რუსეთის რევოლიუცია.

ჩვენ გვსურს განვთავისუფლდეთ ოსმალეთის ბრჭყალებისაგან და მტკიცედაც გვჯერა, რომ მიზანს მივაღწევთ ან სიკვდილი და ან თავისუფლება—აი ის საბედისწერო სიტყვები, რომლებიც პირველი აპრილიდან ჩვენი ცხოვრების ცას დაეწერა.

განა სიკვდილი არა სჯობს ოსმალეთის მათრახსა და შეურაცხყოფას? რა უნდა ჩვენ ფუხარა ძმებს არაბეთსა, ან პალესტინაში?

არა, ჩვენ უნდა დავრჩეთ სამუსულმანო საქართველოში. თუ ჩვენ შორის მტკიცე კავშირი და სულიერი ერთიანობა არ იქნა, ისე მტერი ადვილად დაგვძლევს; მაგრამ თუ ჩვენ ერთი მეორეს არ ვუღალატეთ, მაშინ მტრის სიმრავლე და სიძლიერე ვერაფერს გვავნებს.

მაშ წინ! ვინც ოსმალეთის ბატონობას გამოვექეცით, შევერთდეთ და გავაძლიეროთ ის ახალი ორგანიზაცია, რომელსაც თავისი ტანჯული მხარის განთავისუფლება მიზნად დაუსახავს, ხელი შევუწყოთ იმ დიდ საქმის განხორციელებას, რომელიც ჯერ კიდევ ჩანასახშია. ჩვენ უნდა ვიხსნათ ჩვენი ძმები და ჩვენი ქვეყანა.

გაუმარჯოს სამუსულმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტს, გაუმარჯოს ყველა მებრძოლთ, ვინც სიცოცხლეს არ დაიშურებს თავის მოძმეების სახსნელად ოსმალეთის ბატონობისაგან, გაუმარჯოს თავისუფალ სამუსულმანო საქართველოს განახლებულ საქართველოში.

დურხუნი.

სამხედრო ექიმთა ყრილობის გამო

კარგა ხანია მას შემდეგ, რაც ქართველ ექიმთა წრეებში თავი იჩინა საკითხმა—დროა მოისპოს ექიმთა დაყოფა სამხედრო და სამოქალაქო ექიმებად, დროა მთელი საექიმო-სასანიტარო საქმე მოქცეულ იყოს ერთ რომელიმე ორგანოში და ეს უკანასკნელი უძღვებოდეს საქმეს მთელს რესპუბლიკაში. ამ საკითხის გამო ბევრი აურ-ზაური ატყდა ექიმთა და ბუნების მეტყველთა საზოგადოების სხდომებზე და ის დღესაც გადაწყვეტილად ვერ ჩაითვლება.

ერთი ჯგუფი ექიმებისა, უმეტესად სამხედრო ექიმებისა, ამტკიცებდა, რომ სამხედრო ექიმის დანიშნულება ბევრად განსხვავდება სხვა დარგის ექიმის დანიშნულებისაგან, რომ მის მზრუნველობას აბარია არა მხოლოდ შემთხვევის დროს მასთან მოსული ავადმყოფი, არამედ ასობით და ათასობით ჯანსაღი ჯარისკაციც, რომელსაც განსაკუთრებულ პირობებში უხდება ცხოვრება და მათი თვალყურის დევნება. მათი მდგომარეობის გაუმჯობესება, მათთვის მუდმივ დარაჯად ყოფნა და ათასგვარ სენისაგან დაცვა—ეს ყველა ისეთი რამ არის, რაც განსაკუთრებულ მოვალეობას უჩენს სამხედრო ექიმს, მოითხოვს მისგნით ერთგვარ, ასე ვსთქვათ, სპეციალურ გამოცდილებას, ერთგვარ შეჩვევას და მომზადებას.

მეორე ჯგუფი ექიმებისა არ იზიარებდა ამგვარ შეხედულებას და თავის მხრით ამტკიცებდა, რომ ჯარისკაცი იგივე ჩვეულებრივი ადამიანია, ის იმავე სნეულებითაა შეპყრობილი, როგორც სხვები და მათი მოვლა პატრონობა არავითარ განსხვავებულ ცოდნა-გამოცდილებას არ მოითხოვსო. ჩვენის აზრით კი, პირველნიც, მეორენიც უკიდურესობამდე მიდიოდნენ და ხელოვნურად ჰქმნიდნენ რაღაც გარდაუვალ კედელს ურთი-ერთ შორის. უკეთესი იქნებოდა ერთმანეთისათვის დაეთმოთ, უფრო ობიექტიურად შესდგომოდნენ საკითხის განხილვას, შეერთებინათ ის, რის შეერთებაც მეცნიერულად და პრაქტიკულად შესაძლებელი და საჭიროც არის და გაეცალკავებინათ ის, რისი გაცალკავება აუცილებლობას წარმოადგენს, და რაც მეტ სარგებლობას მოუტანს ჯარს. —ასე თუ ისე ეს კითხვა მეტად სერიოზული კითხვაა, ის ჯერ გადაჭრილი არ არის და საჭიროა ექიმთა საზოგადო ყრილობაზე, რომელიც ამ თვის თვრამეტისთვის არის დანიშნული, სამხედრო ექიმებმა თავისი წარმომადგენლის პირით თავისი გარკვეული, დასაბუთებული აზრი წარადგინონ და საბოლოოდ გადასჭრან იგი.

ამ კითხვის გადაწყვეტის გადადება შეუძლებელია და აი, სწორედ ამიტომ იყო, რომ სამხედრო ექიმთა ერთმა ჯგუფმა საჩქაროდ მიიღო თავზე ინიციატივა და ამ თვის თერთმეტს მოიწვია წინასწარ სათათბიროდ ტფილისში მყოფ ამხანაგთა კრება და ამ კრებაზე გარდა ზემოხსენებულ საკითხისა შემუშავებულ და დასმულ იქმნა მთელი რიგი ახალი საკითხებისა. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოწოდებამ ვერ ჰპოვა ჯეროვანი გამოხმაურება ამხანაგთა შორის: კრებას მხოლოდ ოცამდე ამხანაგი დაესწრო და მათ შორის არ მოსჩანდნენ, გარდა ერთისა, ძველი გამოცდილი ექიმები; ეს კრება, როგორც ზევითა ვსთქვით, მოწვეული იყო წინასწარ სათათბიროდ, მას უნდა გამოემუშავებია წეს-რიგი და შეემზადებინა ნიადაგი სამხედრო ექიმთა საერთო ყრილობის მოწვევისათვის, მაგრამ აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ჩვენთვის ცხადი შეიქმნა, რომ მომავალი ყრილობის მოწვევა, რომელსაც უნდა დაესწრო საერთო ექიმთა ყრილობისათვის და მოწყობილიყო აჩქარებით, სულ ოთხ-ხუთ დღეში, ვერ იქნებოდა ჩვენი სულისკვეთების გამომხატველი, ის ვერ მიიღებდა იმ ფართო ხასიათს, რომელიც მას უნდა მისცემოდა თავისი დანიშნულებით; სხვათა შორის ჩვენდა დამოუკიდებელ მიზეზების გამო ამ ყრილობაზე ვერ მიიღებდა მონაწილეობას ბევრი ჩვენი ამხანაგი; მონაწილეობას ვერ მიიღებდნენ ისინიც, ვინც ექიმებთან ერთად აკეთებენ ჯარში იმ საქმეს, რასაც საექიმო-სასანიტარო საქმე ეწოდება; აქ ვერ იქნებოდა წარმოდგენილი სერიოზული რაიმე შრომა, მეცნიერულად დასაბუთებული მოხსენებები და სხვა ნათლად ვხედავდით, რომ ეგე თათარიახნად მოწვეული ყრილობით მიზანს ვერ მივაღწევდით და ზოგიერთმა ამხანაგმა წინადადებაც შემოიტანა ყრილობის მოწვევა თვე თვენახევრით გადადებულიყო. მაგრამ მიუხედავად ყველა ამისა, საზოგადო ექიმთა ყრილობის მოლოდინში კრებამ მაინც საჭიროდ სცნო გამოეწვია, რამდენიც იქნებოდა, ამხანაგები დაენიშნა, დროზე მოეყარა მათთვის თავი, გაემართა მსჯელობა და სუყველა საკითხები თუ არა, უსაჭიროესი მათგანი მაინც განეხილა და მოემზადებინა ოცისთვის.—ასე ამგვარად, მიუხედავად ბევრისაგან ბევრი დაბრკოლებისა, გადაწყდა ამა ოქტომბრის თვრამეტისთვის ყრილობის მოწვევა, შემუშავდა წესრიგი, რომელიც განსაკუთრებით იბეჭდება გაზეთებში და იმედია, რამდენადაც შეიძლება, მეტი ამხანაგობა გამოცხადდება ყრილობაზე და მიიღებს მის სხდომებში მხურვალე მონაწილეობას.*)

ექიმი კ. ტყემელაშვილი.

---

*) გაზეთ „ერთობას“ და „საქართველოს“ ვსთხოვთ ეს წერილი გადაბეჭდონ. კ. ტ.

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა.
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

ექიმი **ვ. მუსხელიშვილი** იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

ექიმი **შ. ა. მიქელაძე** მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 118.

ექიმი **ქ. ხონი სპირიდონ დიმიტრის ძე ჯალაღანია.** იღებს ავად. დილის 9—12 საათამდე. მისამართი: მათხოჯის ქ. საკუთარი სახლი. 2090

ექიმი **მრევლიშვილი** მასწავლებლად ნამყოფი კიევის ქალაქის საბებიო სასწავლებელში და ინტერნად კიევის ქალაქის საავადმყოფოს მიიღებს საბებიო საშვილოსნო ავადმყოფ 4—6 საათზე კვირის გარდა ნიკოლოზის ქუჩა № 22 ვორონცოვის ძეგლის ახლო. 2108

ექიმი **კაპილისა კონსტანტინე არდაზიანი** განაახლა ავადმყოფების მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის ქუჩა № 11 ექიმი არდაზიანის ბინა. 1219

ექიმი **ქალი რ. ბ. შიშლო.-ხაბაშვილი** მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე **შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას.** სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ერევნის მოედნის ახლო ტელ. 9—26. 5087

ექიმმა **დიასამიძემ** განაახლა ავადმყ. მიღება ნაშუადღ. 1—2 საღ. 5—6 კვირის გარდა. ოლღას ქუჩა 15 ტელ 18—03. 2010

ექიმი **ნ. ი. მახვილაძე** იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მოსკოვის ქ. № 11. 1128

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი გ. გ. მეჯრაბიანცი

ჩამოვიდა და განაახლა. შინაგან ავადმყოფობა—ბლექი და გულისა. ახალს რენტგენ-ელექტრ-კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა X სხივებით, თავის დუში ვენის ტიპისა, დიდი ხოლონოიდი, განსაკუთრებული ნაკადები დ'არსენვალისა ფილტვების სნეულებისათვის, გულის ავადმყოფობისა, ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამოს 6—8 ს., ბებუთოვის ქ., № 28, ტელ. № 7—92. 1840

რენტგენისა და ელექტრონის სამკურნალო კაბინეთი

წითელი ჯვრის სარენტგენო კაბინეთის ყოფილ გამგის და მიხეილის საავადმყოფოს ექიმის

ა. ლევენშტეინისა

მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს. სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა (ტუბერკულიოზი), გულისა, კუჭისა და ქაჭებისა მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ.

კრილოვის ქ. № 35, ბ. 3. მიღება 4—8 საათ., გარდა კვირისა. ტელეფონი 12—46. 2029

ექიმი **ნ. ლ. ტუ[illegible]** (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ. 4—5 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით. 908

ექიმი **პავლე არდაზიანი** შინაგანი და ბავშვების ავადმყოფების მიღება ყოველდღე 11—2 ს. დილით და 5—7 ს. საღამოთი.
მელიქოვის ქ. № 12. 1060

ექიმი **ლ. ა. ხარაძე** იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო. 2105

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი.** მიიღება ვენერიული საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირობით მხოლოდ დიდ მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ № 34. 301

ექიმი **ი. ქ. აბაკელია** შინაგანი ავადმყოფობა. განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვებისა, სასუნთქისა ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ბლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^1/_2$—6 საათამდე. პეტრე დიდის ქ. № 26. ტელ. 5—86. 1270

თვალის სამკურნალო მუდმივი საწოლით ექიმ დოხნინისა

რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 920

კერძო სამკურნალო

ექ. ალექსიძის

მომსვლელ ავადმყოფთათვის

სპეციალისტ ექიმებისა

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე

ა. დ. ალექსიძე შინაგანი და ქალთა სნეულებანი 11—1 ს. და საღ. 5—6 ს.

ნ. ტ. ანდრონიკაშვილი კანის და ვენერიული ავადმყ. 8—9 ს. და 6—7 ს.

გ. მ. რეკვავა შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11 ს. და 4—5 ს.

ხპ. გ. ჯაფარიძე—საბავშო ავადმყოფობისა, 1—3 საათამდე.

სამკურნალოსთან არის ლაბორატორია, სადაც შეიძლება ყოველგვარი ანალიზის მოხდენა. გამგე ლაბარატორიისა ექ. მ. მ. ტყემალაძე.

მისამართი: ერეკლეს ქ. № 6 ეგზარხოსის მოედანთან.

სამკურნალოში ყოველთვის იმყოფება მორიგი ექიმი. 2019

ექიმ ნავასარდიანცის პირველი კერძო სამკურნალო.

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:

„606“ და „914“ 11—12 ს.

ხ. ა. ნავასარდიანცი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)

უ. ი. მაზნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა

ბ. ბ. აგახაროვი: 10—12 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

აბელტისიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 12—1 ს.

დ. ი. ჯაფარიძე: 10—11 ს. ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი.

მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

ნ. გ. აველტისიანი—9—11 საკუთარი ბავშვთა ავადმყ.

ი. ი. ტერ-გრიგორიანცი, 1—2 ს. შინაგანი.

საღამოთი:

ხ გ აველტისიანი: 11—12 ს. სპეციალური ბავშვთა სნეულებანი.

ა. ნ. იხაკიანი: 6—7 ს. ქალური-ავადმყოფობანი და ქირურგიული:

რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანცი

სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სახალხო საქმე“

ღირს. თვით 10 მან., ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 50 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 60 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, სასახლის ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190, ტელეფონი 12—29.

ტფილისი, სტამბა „სახალხო საქმე“ ბარონის ქუჩა